ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1567502

ნომერი: AR1260664

თარიღი : 24.10.2014

გაცემის თარიღი : 30.10.2014

გაცნობის თარიღი : 30.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სანდროეულის ქ. N2-სა და ვაჟა-ფშაველას გამზირის გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიზო მარკოზია პ/ნ 01019036435
- თბილისი თემქა III მ/რ V კვ. კორ. 27 ბ. 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ვალდებულება, კერძოდ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ვალდებულია უზრუნველყოს მეტროსადგურ "უნივერსიტეტი"-ს დამთავრებისათვის საჭირო სამუშაოების შეუფერხებლად (უსასყიდლოდ) განხორციელდეს ხელშეწყობა, კერძოდ არ განახორციელოს ისეთი სახის სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, რომელიც ხელ შეუშლის სადგურის ექსპლუატაციაში გაშვებას. აღნიშნულის გათვალისწინებით პირველ რიგში წარმოსადგენია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანხმობა, მიწის ნაკვეთზე ავტოსამრეცხაოს მშენებლობასთან დაკავშირებით.

2. იმისათვის რომ ობიექტი განეკუთვნოს I კლასის შენობა-ნაგებობათა მახასიათებელს, მისი განაშენიანების ფართი, მეასედის სიზუსტით უნდა განისაზღვროს 60.0 კვ.მ.-მდე. აღნიშნულის შესაბამისად დაკორექტირდეს დოკუმენტაცია და მცირედით შემცირდეს შენობა-ნაგებობის გაბარიტული ზომები.

3. ავტოსამრეცხაოსათვის დამატებითი შესასვლელის მოწყობა მიუღებელია, ისარგებლეთ მიწის ნაკვეთზე უკვე არსებული შესასვლელით.

4. ისარგებლეთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და ნაცვლად შერჩეული ნომენკლატურისა აირჩიეთ: "I კლასი" – "დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა–ნაგებობა" – "ახალი მშენებლობა".

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.